ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ალბომი

№ 15

1920 წ.

თებერვლ. 29

მიწის მეორეულ ქალაქ გორში.

1. რკინის გზის სადგურის უკანა მხარე. 2. თფილისის ქუჩა. საგრეთო სურათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორი დაინგრა, ქართველო!...

ვინა სთქვა: „კაცი ქართველი ძუნწია, არა უხვია“...
ამისმა მთქმელმან უცილოდ სიმართლის გზასა უხვია?
სხვამ, უკეთესად ქართველთა, წყლული ძმას ვინმცა უხვია?
სიკეთით უხვობს ქართველი, ვით საქართველო უხვია.

იქ, სადაც გორი ქალაქი, სდგა დასაწყისით თვისითა,
ზურგი აჰქავდა ქვეყანას... ღამით და კვლავცა დღისითა,
აჰქავდა, ფხანა მოუნდა; ხელით მოიფხანს ვისითა?
შეათამაშა ქოჩორი და დაგვსვა გულით მქისითა.

გორი დაინგრა ქალაქი, სიმშვენით შეუდარები!..
დაინგრა ციხე იმისი, ვინ მტერთ დაუხშის კარები,
დაინგრა ჯვარი გორისა, მუნ მთისა წვერად მდგარები,
დაინგრა არე სოფელთა ტურფა და ნაბაღნარები.

გორი დაინგრა ქალაქი, ქართლის გული და თვალია,
გვერდ-ით რო მტკვარი ურბოდა, კვლავცა ლიახვის წყალია.
თავზე რო ედგა ლურჯი ცა, მზეთა ემოსა ძალია,
გორი დაინგრა... ვუშველოთ, გვაწევს ამისი ვალია!..

გორი დაინგრა. დაობლდა ქართველთა მიწა მამული.
ხალხი ამოწყდა. ცოცხალნიც სხედან მუნ ცრემლით ნამული.
აღარ სჩანს ლხინი ქართლისა, გორშიგან მარადჟამული...
წითელი ღვინო უყვარდათ, მწვანილი, თევზი ხრამული...

ნოემა ბრძანა: — „გორის წილ აეგოს გორი კვლავაცო.“
ეჰა, ქართველო, ჭირშიგან ჰხამს გული გაიმამაცო!
მოიკელ ამა ტამისად მოლხენაც, სმაცა, ჭამაცო,
გორს დაეხმარეთ ყველანი: შვილიკ, დედაც და მამაცო.

ვინა სთქვა: „კაცი ქართველი ძუნწია, არა უხვია“
ამისმა მთქმელმან უცილოდ სიმართლის გზასა უხვია.
სხვამ, უკეთესად ქართველთა, წყლული ძმას ვინმცა უხვია,
სიკეთით მდიდრობს ქართველი, ვით საქ[illegible]ველო უხვია.

ეშმაკი.

მიწის ძვრა

(სამეცნიერო გამოკვლევა)

მიწის ძვრისა და მის გამომწვევ მიზეზთა შესახებ მრავალ გვარი თეორია არსებობს, ხოლო ყველაზე უფრო გავრცელებული და მიღებულია ის თეორიები, რომელნიც ბუნების ამ საშინელ მოვლენას დედამიწის საფუძველის განძრევას უკავშირებენ.

ამისდაგვარათ, საგნის ადვილათ გამოკვლევისათვის, საკითხის სათანადოთ გაშუქებისათვის და გამარტივებისათვის საჭიროა, უპირველეს ყოვლისა განვიხილოთ, რას წარმოადგენენ ის საფუძველნი, რომლებზედაც, ზემოხსენებულ თეორიების თანახმად, დამყარებულია ჩვენი ქვეყანა.

დავიწყოთ ეგრე წოდებულის „დავითის თეორიით.“

წინასწარმეტყველი და მეფე დავითი თავის ასმესამე ფსალმუნის მეექვსე გალობაში ამბობს:

„რომელმან (იგულისხმება: ღმერთმან) დააფუძნა ქვეყანაჲ სიმტკიცესა ზედა თვისსა, არა შეიძრას იგი უკუნითი უკუნისამდე“

აქედან აშკარაა, რომ დავით წინასწარმეტყველი იმ საფუძველად, რომელზედ ც ჩვენი ქვეყანაა დაყრდნობილი, ღმერთის სიმტკიცესა სთვლის.

ჩვენ ვერ ვეთანხმებით პატივცემულ დავითის აზრს და გვგონია, რომ მისი თეორია შემცდარია.

მართლაც, უკეთუ დავითის სიტყვებს გულდასმით ჩაუკვირდებით, ნათლად დავინახავთ, რომ ღმერთს წინდა წინვე გათვალწინებული ჰქონია მოსალოდნელი მიწის ძვრანი და მათ ასაცილებლათ („რათა არაშეიძრას უკუნითი უკუნისამდე“) დედამიწა „სიმტკიცესა ზედა თვისსა“ დაუმყარებია.

მიუხედავათ ამისა, ჩვენ ვიცით, რომ მიწის ძვრა მრავალ გზის მოხდა და სამწუხაროდ ხდება კიდეც ქვეყანაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო, ვინაიდან მიწის ძვრას ქვეყნის საფუძველის რყევა იწვევს, გამოდის რომ სიმტკიცე ღვთისა ფრიად მერყევი საძირკველი ყოფილა, ასე რომ ღმერთს თავისი კეთილი განზრახვა ვერ შეუსრულებია.

პატივცემულ დავითს, დარწმუნებული ვარ, ჩვენზე ნაკლებად არა სწამდა ღმერთის ყოვლის შემძლებლობა და რომ ჰგონებოდა, მის სიტყვებისაგან, სრულიად ლოგიკურათ ვინმე ასეთ ღვთის საგმობ აზრს დაასკვნიდა, დაუყონებლივ აიღებდა ხელს თავის თეორიაზე.

ამისდაგვარად, „დავითის თეორია“ ყოვლად უსუსურია და „სიმტკიცე ღმერთისა“ არამც და არამც ქვეყნის საფუძვლად არ ჩაითვლება.

მეორე თეორია გახლავთ „ხარის თეორია“.

თანახმად ამ თეორიისა დედა მიწა ეყრდნობა უზარმაზარ ხარის რქებს და როდესაც ხარი თავს გააქნევს, მიწის ძვრა ხდება ხოლმე.

უნდა გულახდილათ გამოვტყდეთ, რომ ჩვენ ვერც ამ თეორიას ვემხრობით.

ეს თეორია რომ ჭეშმარიტი იყოს, მაშინ ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა და მართლაც რომ „უკუნითი უკუნისამდე“ უზრუნველ ყოფილი ვიქნებოდით მიწისძვრისაგან.

ნეტავი ხარზე იყოს დამოკიდებული მიწის ძვრა!

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ხარი და კამბეჩი ადამიანზე ადრე გრძნობენ ხოლმე მიწის ძვრას, თითქის წინასწარვე ატყობენ მის მოახლოებას და ისეთი შიში აიტანს ხოლმე მათ, რომ ჩვენი, ადამიანების შიში, მასთან სახსენებელიც არ არის. თუნდა ახლაც, გორის მიწის ძვრის დროს, რამდენიმე ხარი და კამეჩი ჭკუაზე შესცდა თავზარისაგან.

მართლაც და ხარი ვირი ხომ არის, რომ თავის თავს უბედურება დაატეხოს და უდროო დროს თავი გააქნიოს!

მაშასადამე, „ხარის თეორიაც“ უნდა ხელაღებ უარყოფილ იქმნას.

დაგვრჩა „გველეშაპის თეორია“.

ამ თეორიის მიმდევარნი ამბობენ, თითქოს დედამიწა გველეშაპს ჰქონდეს ზურგზე წამოკიდებული და როცა გველეშაპი ბოლოს გააქნევს, მიწის ძვრაც მაშინ ხდებოდეს.

ეს ყველა ჩამოთვლილ თეორიებზე უსუსური თეორიაა და კრიტიკის ოდნავ შეტევასაც ვერ უძლებს.

ყველა ყველა და ჩვენ, ქართველები, მაინც არ უნდა აგვიყოლიოს ასეთმა ყოვლად მტკნარმა სიყალბემ!

საიდან გველეშაპზეა დაყრდნობილი ჩვენი ქვეყანა, როდესაც გველეშაპი—ეს ხომ ყველამ იცის—გმირულად გაჰგმირა თავისი შუბით და მოჰკლა კიდეც თეთრმა გიორგიმ?..

თუ არც ღმერთის სიმტკიცეს, არც ხარის რქებს და არც გველეშაპის ზურგს ეყრდნობა დედა მიწა, მაშ რაზედაა დაფუძნებული?

გავკადნიერდებით და ვიტყვით: არაფერზე!

ჩვენ ამას აღვიარებთ წარბშეუხრელად და საჯაროთ, მთელი პასუხისგების შეგნებით და საბედნიეროთ ამ შემთხვევაში მარტოკა არა ვართ:

იგივე დავით წინასწარმეტყველი იმავ ფსალმუნის მეშვიდე გალობაში თითონვე არღვევს წინა გალობაში გამოთქმულ თავისს თეორიას და ჩვენთან ერთად ჰღალადებს:

„უფსკრული, ვითარცა სამოსელი, გარე-მოდებულ არს მისა (იგულისხმება: ქვეყანისა)“.

ეს ნიშნავს: ქვეყანას გარს არტყია უფსკრულიო, ე. ი. ქვეყანა არაფერზე არ არის დაფუძნებულიო.

უკეთუ დედამიწა არაფერზე არ არის დაფუძნებული, მაშ საიდან ჩნდება მიწისძვრაო, გვკითხავენ ჩვენ.

ვიდრე ჩვენს საკუთარს თეორიას მოგახსენებდეთ ამ საგნის შესახებ, საჭიროა მოვიგონოთ, რო[illegible] ხდება მიწის ძვრა.

ჯერ იწყება დედამიწის ზეადაგის ნელი რყევა და ქვესკნელიდან გუგუნი მოისმის, თითქოს დედამიწა შფოთავს და კვნესისო. შემდეგ რყევა თან და თან ძლიერდება და გუგუნიც მატულობს და, ბოლოს, უფრო ხშირად, მხოლოდ მაშინ თავდება ყველა ეს საზარელი მოვლენა, როდესაც სადმე წიაღიდან წიაღვარს, ანუ „ლავას“ ამოხეთქავს.

საჭიროა, გულდასმით დავაკვირდეთ მიწისძვრის ზემოდაღწერილ პროცესს. რას მოგვაგონებს იგი, თუ დედამიწას ცოცხალ ორგანიზმს, ამ შემთხვევაში კი ადამიანის ორგანიზმს, შევადარებთ?

ეჭვი არ არის, რომ გულის რევას და პირიდან ღებინებას.

მეცნიერებისათვის გულწიწკლა არ არ[illegible]ებობს და ჩვენც შეგვიძლია სრულიად გულდამშვიდებით აღვადგინოთ გულის რევისა და პირიდან ღებინების პროცესის სურათი მიწის ძვრის პროცესთან შესადარებლად:

გულისრევის დასაწყისში ადამიანი სწუხს ხოლმე, ოდნავ ბორგავს და კვნესის (ოდნავი რყევა და გუგუნი). შემდეგ ბორგვა მატულობს, შფოთვად იქცევა და კვნესასაც ლოკინი და კონვულსიური სპაზმები სცილის (გახშირებული ძლიერი ბიძგები და გრიალი). ბოლოს პირიდან ღებინება და დამშვიდება (წიაღვარის ამოფრქვევა და მიწისძვრის შეწყვეტა).

ასეთია ამ ორ თანაბარ მოვლენათა საოცარი ანალოგია და ჩვენ გადაჭრით ვამტკიცებთ, რომ მიწისძვრა არის დედამიწის გულის რევა და პირიდან ღებინება—სხვა არაფერი.

დიახ! დედამიწა ცოცხალი ორგანიზმია, ისეთივე მგრძნობიარე და გულწიწკი, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანი და სრულიად გასაკვირალი არ არის, რომ მას გული აერიოს და წააღებინოს კიდეც!

რა არის ხოლმე მიზეზი მიწის ძვრისა ანუ დედამიწის გულისრევისა?

ჩვენ აქ ვერ გამოუდგებით ყველა იმ მიწისძვრის მიზეზთა ახსნა-განმარტებას, რომელნიც წარსულში მომხდარან. ამისი არც დრო გვაქვს და არც სურვილი. ვიტყვით მხოლოდ იმ მიწისძვრის შესახებ, ჩვენ'ში საქართველოში, რომ იყო ამ დღეებში.

ნურავის ჰგონია თითქოს ბათომის ამბებისა და და მიწის ძვრის თანხვედრა უბრალო შემთხვევის ბრალი იყოს!

დედა მიწის გულწიწკობამ სწორედ იმ გარემოებას ვერ გაუძლო, რომ აქ, ჩვენს ტერიტორიაზე, დემოკრატიულ სახელმწიფოში, სოციალისტ მთავრობის რესპუბლიკაში, იმათ, ვინც თავიანთ თავს სოციალისტე'სა და კომუნისტებს უწოდებენ, ენვერ ფაშასთან შეჰკრეს კავშირი და თავის წითელ დროშას უკანიდან ხონთქარის მთვარიანი დროშა ამოაფარეს.

ვერ გაუძლო და აერია გული.

ძვირად დაგვიჯდა ჩვენ დედამიწის ეს გულის რევა.

ცხრაჯერ უფრო ძვირად უნდა დაუსვათ უტიფრობა იმათ, ვინც ბათუმსა და სამაჰმადიანო საქართველოში წყალს გვიმღვრევენ და ორმოს გვითხრიან.

თაგუნა.

ცხოვრება და მეცნიერება.

ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა ლუარსაბ უძრავაძემ თვალსაჩინოთ გააუმჯობესა მიწის ძვრის მაჩვენებელი იარაღი სეისმოგრაფი და დიდის სიფრთხილით დასდგა თებერვლის 19-ს ობსერვატორიაში.



თებერვლის ოცს, რალაც მიზეზების გამო, თბილისში სახლები შეინძრა, ხოლო გორსა და მის მიდამოებში კიდევაც დაინგრა და მრავალი ხალხი იმსხვერპლა. ლუარსაბ უძრავაძემ ეს ნგრევის სურათი თავის თვალით ნახა და ვინაიდან ამ საშინელ უბედურებას ყველა მიწის ძვრას აწერდა, დაუყონებლივ გაეშურა სეისმოგრაფის დასათვალიერებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლუარსაბ უძრავაძეს სეისმოგრაფი სრულიად უძრავათ დახვდა, ისე, როგორც მან დასტოვა.

— როდის უნდა მოეღოს ბოლო ამ ხალხის ცრუმორწმუნეობას! — დინჯათ წარმოსთქვა მან: თუ მაგათ დავუჯერეთ, სახლები უფრო მგრძნობიარე ყოფილან, ვიდრე ჩემ მიერ გაუმჯობესებული სეისმოგრაფი! რის მიწის ძვრა, რა მიწის ძვრა!



გორის ამბები დავიწყებას მიეცა. დანგრეული ქალაქი კვლავ აშენდა და ქვეყანაზე სრული მშვიდობა დამყარდა. ამ ხნის განმავლობაში ლუარსაბ უძრავაძე განუწყვეტლივ ობსერვატორიის სამუშაოში იყო თავ-ჩარგული.

ერთ პატარა ქუჩის ბიჭს მოსწყინდა ქუჩაში ხეტიალი, ობსერვატორიის ეზოში გადაძვრა და უცებ სეისმოგრაფს წააწყდა. არ მოეწონა, ჯოხი უთავაზა და მოჰკურცხლა.



ლუარსაბ უძრავაძე დანიშნულ დროს მივიდა სეისმოგრაფის დასათვალიერებლად.

— ჰოი საშინელებავ! — შესძახა მან: როგორ დაქცეულა ქვეყნიერება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შექანჯალებულის ლექსები.

ჰერი, ბიჭო, ჰერი, ჰერი!
მოვიპარსე წალდით წვერი,
ერთი მაგრად შეინძერი—
ქვესკნელიდან ამოვძვერი...
ამ დროს თურმე მიწა იძრა,
და გორი სულ მთლად დაიმტვრა.
საქმე მოხდა საზარელი,
საშინელი, საძაგელი.
რა ქალაქი განადგურდა!
ბევრი მოჰკვდა.. გაიქურდა..
მივსცეთ ხელი მაშ ერთმანეთს,
თითეული იმდენ მანეთს,
რამდენსაც რომ დღეში ვიღებთ,
თუ კი მოძმესთვის გავიღებთ,
ტანჯვასაც შეუძსუბუქებთ,
ოოს იმედით გაუშუქებთ!
ერთ დღეს მხოლოდ ხახვი ვჭამოთ—
ტანჯულ მოძმეს კი ვაამოთ!
ვანო, ბესო, კესო, ლილი!.
შევიტანოთ ჩვენი წვლილი,
ზოგმა მსხვილი, ზოგმა წვრილი,
მოძმესათვის თავი დავდოთ,
დღიური ქირა გადავდოთ..
მაშ, ჰა, ასე, ჩემო ლილი,
დიჰტი პიტო, დილი—დილი,
კამფეტისგან მტკივა კბილი—
ჩაიყარე პირში ფქვილი:
აბა ნახე, თუა ტკბილი..

II.

ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ხა, ხა, ხა, ხა,!!.
სიცილისგან მტკივა ხახა,
სიცილისგან მეწვის ყელი,
საქმე გითხრათ საცინელი!!!
იცით, რად ინძრა ქვესკნელი??.
—თურმე ქვესკნელის ტარტაროზს
ჩვენ მთავრობამ შეუთვალა:
„ქვესკნელისა კომისარო,
ჯურღმულების ხარ მართველი,
კარგად იცი, რომ ქართველი
ხალხი აღსდგა, აღორძინდა
და ტფილისში დაქორწინდა,
მრავალს მზეც ამოუბრწყინდა,
სრა-სასახლეშიც შებრწყინდა,
(კარგი ყოფნა, ვის მოსწყინდა!!)
ბევრსაც არ აქვს წაღა, წინდა,
არც საჭმელი, არც საკვები,
ბინათ აქვთ ცივი ქუჩები,
არც ვსთქვა ცოტა, და არც მეტი—
ბევრს აქვს ოთახი ზედმეტი—
შეუყვარდათ ყოფნა ვრცელი,
გაეფუყათ კუჭ მუცელი,
მჭიდროთ იცხოვრონ, რა უჭირთ,
შეიყუდრონ, ვისაც უჭირთ!..
ჰო, და ახლა თქვენ მიბრძანეთ,
რავქნა, ვერ გამოვაბრძანეთ
სახლებიდან ხალხი გარედ..
ვიტანჯებით ერთობ მწარედ:
რა ვქენით, რა არ ვიღონეთ;
რა ხერხი არ მოვიგონეთ..
მეტი აღარ შეგვწევს ძალა,
სახლები არვინ დასცალა,
და თუ რომ ხელს გაგვიმართავთ,
ეხლა, მხოლოდ თქვენ მოგმართავთ:
—„აჩვენეთ, მათ თქვენი ძალა,
გთხოვთ, ტფილისი შეაქანე,
და ეს ხალხი, გეთაყვანე—
ერთი გარედ გაიყვანე,
რომ სიცივე აგრძნობინოთ,
ნახონ სიცივე უბინოთ,
როგორია და რა ხილი!
მაგრამ კი იყავით ფრთხილი;
რომ ბერკეტი ტფილისს თავად
არ ამოსდო მწყრალად, ავად,
სულ მთლად არ გაგვანადგურო,
თუ არ გსურს რომ მოგვიმდურო,
ისე, მოსდეევი, შორიდან,
აი, თუ გინდა, გორიდან!!.“
ამ დროს თურმე ტარტაროზი
ქეიფობდა და დამთვრალა,
ამ ცნობამ სულ მთლად შეჰშალა,
ნერვები თლად აუშალა,
და რაც ქონდა ღონე-ძალა—
გორს ამოსდო, აქანჯალა,
რომ ეექცია ერთობ ფერფლად,
და შესწირა ტფილისს მსხვერპლად.
მაგიერად ტფილისი კი
აცეკვა და აკანკალა,
ხალხი ზეზე წამოშალა,
და ქუჩებში გამოშალა,
და სახლებიც დაიცალა!!.
არვის მოსდიოდა ძილი..
თებრო, კატო, კესო, ლილი,
შუა ღამით, თოვლ ყინვებში
სეირნობდნენ შვა ქუჩებში
უცეცვავდათ ყინვით კბილი
და სიმღერა ჰქონდათ ტკბილი:
„შუა ღამით, ცივს ქუჩებში.
ყანვა გვკოცნის ნაზ ტუჩებში,
უბინობა რა ძნელია.
რა ყოფნა, რა ძნელია.
ვინ შეგვიძრა ქვესკნელია,
ოდელია, ოდელია..!“
ამ დროს ქუჩებს ჩაუარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სულ ყველას შევხარხარე:
ხა, ხა, ხა, ხა, ხი, ხი, ხი, ხი,—
გაგიშეშდათ ყინვით ფეხი?!?!
ხა, ხა, ხა, ხა, ხი, ხი, ხი, ხი!
ხომ დასც ლეთ სწრაფლ ოთახი—
ახი, არის თქვენზე ახი!.
მე მთავრობამ დამავალა,
ოთახები დამეთვალა,
ყველგან ოთახში შევძერი,
და რა ვნახე: ჰერი, ჰერი!!
რა ცხოვრება და რა გემო!
ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო...
აგერ „სპალნა,“ კაბინეტი,
„სასადილო,“ იქ სასტუმრო,
საქმე არ იყო სახუმრო,
იქ „საბავშვო“ „საგადიო“
უჰ, რამდენი ჩამოვთვალო!!.
ეს რა ვნახე, უჰ, უფალო.
შიგ ნოხები, ფარდაგები—
ჩაიმასქნილ, მონაგები,
ოთახები მოწყობილი,—
დავრჩი ერთობ კმაყოფილი.
ოთახები რა დავთვალე,
შემოვძახე ლალე, ლალე—
და მთავრობას მოვახსენე,
უბინონიც გავახსენე—
რომ ვყოლოდით ჩქვენაც „სჩოტში“..
ოთახები კი „უჩოტში“
ჩვენთვიაც შემოენახა.
ჰო, ჰო, თვალმა ეს რა ნახა,
რა სიმდიდრე, რა ამბავი..
დამიბრუვდა უცებ თავი
და ჩემ თავშიც მიწა იძრა,
სიცივით ტვინი დამიზრა.

შექანჯალებული.

რათ ხდება მიწის ძვრა.



ხალხის აზრით დედამიწა გველეშაპის ბოლოზეა დამყარებული. როდესაც ეშმაკს გასართობი მოენატრება, გველეშაპს ცხვირში შეულიტინებს.



მაშინ გველაშაპი ბოლოს დაანძრევს და დედამიწაც იძვრის.
ჩვენი ობსერვატორია ამ ხალხურ თეორიას სავსებით არ იზიარებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწის ძვრა ქალაქ გორში.

ძველის-ძველი ქართული ეკლესია, დანგრეული მიწის ძვრისაგან თებერვლის 20 ქ. გორში.



გორის სამაზრო საგრობო გამგეობის შენობა, მიწის ძვრისაგან დანგრეული თებერვლის 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწის ძვრა ქალაქ გორში.

მთის პირის ქუჩა დანგრეული მიწის ძვრისაგან თებერვლის 20-ს. სურათზე მოსჩანს აგრეთვე დიდებული გორის ციხის ნანგრევებიც.



მიწის ძვრისაგან დანგრეული დარბაზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ფელეტონი.

საიდან წარმოსდგება მიწის ძვრა.

ვერ წარმომიდგენია ქართველი კაცი, რომელსაც დღეს ენაზე მიწის ძვრა არ ეკეროს. ყველას აინტერესებს იმ მიზეზთა გაგება, რომლისგანაც წარმოსდგება ეს ფრიად ზარდამცემი და განმანადგურებელი მოვლენა. დღევანდელ ი[illegible] საშიშარ ამბავთა შემდეგ, რომლის მოწამენიც ჩვენა ვართ, ასეთი სურვილი დიახაც რომ კანონიერ სურვილათ შეიძლება ჩაითვალოს.

ჩემი განზრახვაა თანაგრძნობით შევეგებო ამ სურვილს და ბებია ჩემი ანუსის პირით გავუშუქო ქართველ ინტელიგენციას ნამდვილი მიზეზები მიწის ძვრისა.

ბებია ჩემი ანუსი მკვიდრი დედინაცვალი გახლ[illegible]ამიჩემისა. [illegible]ის უკვე მეოთხმოცდა ცამეტე ს[illegible] [illegible]ადამდგარი და მიუხედავათ მისი წლოვანიბისა ერთობ განვითარებული და გონება გახსნილი ადამიანია. დარწმუნებული ვარ მას ვერავინ დასწამებს ვერც ახალგაზრდური სიშმაგით გატაცებას, ვერც ცხოვრების უცოდინარობას, ვერც ახალი ევროპიული მეცნიერებისადმი მიკერძებას. ის კარაბადინის მეცნიერებით აღზრდილია, და თანაც სარწმუნოების საქმეში ჩახედული, ვინაიდან პირველი მეუღლე მისი მამა ლეონტი დეკანოზი იყო.

— ქვეყანა, შვილო, დღემდე უნდა დანგრეულიყო. დინჯათ და სრულის შეგნებით დაიწყო ანუსიმ.

— რატომ ბები, რა დაუშავებია ქვეყანას?

— კი დაუშავებია, შვილო, დიდი დაუშავებია.

— მაინც, მაინც.

— მაინც რომელი გითხრა. ვინ ინახავს შვილო ახლახდელ დროში მარხვას?

მე ენა ჩამივარდა, პასუხი ველარ ვიპოვე. გუნებაში კი ვფიქრობდი:

— რა ღმერთი გამიწყრა, მე რატომ ვერ მივხვდი ამას, ბებია ჩემზე უფრო ნასწავლიცა ვარ და წარმოიდგინეთ უფრო ახალგაზრდაც. ჩემი მწუხარება უმეტეს გაიზარდა, როცა დავინახე, რომ ბებიაჩემსავით მსჯელობდა თითქმის ყველა ნაციონალ დემოკრატი.

— მარტო მარხვაზე რომ იყოს, საქმე ყოვლად სახიერი კიდევ გვაპატიებდა, მაგრამ შვილო, შეხედე რას უშვებიან მღვდლებს... ღმერთი ამას ყველაფერს ხედავს...

ბებია ჩემმა ანუსიმ კვლავ შეისვენა; არა იმისთვის რომ ქვეყნის დანაშაულობანი და მიწის ძვრის მიზეზნი მოეფიქრებია, არა, ეს იმას მზადა აქვს, არამედ იმისთვის, რომ დაიღალა. რა ბედნიერი ვიქნებოდი მე და ჩემთან ერთად მთელი საქართველო, რომ ჩემს ანუსი ბებიას დეპუტატი შენგელაიას ლაპარაკის ენერგია და უნარი მისცა, ჭკუაზე არ შეესესხება პატივცემულ ორატორს. მაშინ მთელი მიზეზები მიწის ძვრისა თვალწინ გვექნებოდა.

მღვდლების გაგონებაზე მე გული კვლავ სიბრალულითა და ბრაზით ამევსო. მებრალებოდა მღვდლები და მაბრაზებდა კვლავ ეს ჩემი შეუგნებლობა. ნაციონალ დემოკრატები რამდენი ხანია ამას ამტკიცებენ: თუ მღვდლებს ხაზინიდან ჯამაგირები არ დაენიშნა, უთუოდ მიწა იძრებოო. დღემდე მათ ყურადღებას არავინ აქცევდა.

— ბებია ჩემო, გავბედე მე შეკამათება, შენ ასე ამბობ და იქ სეისმოგრაფი კი სულ სხვას გვანიშნებს.

— სადაურია შვილო?

— კარგათ არ ვიცი, ღმერთმანი, მგონი გერმანული უნდა იყოს.

— ვორონცოვი რომ იყო, იმისი რა არის, შვილო?

— რომელი ვორონცოვი ბები?

— აი ნამესტლიკი რომ იყო, შვილო.

— მერე იმისი რა უნდა იყოს...

— შენ არ იცი, ჩემო ბიჭუნი, ისიც გრაფი იყო, ნამდვილი გრაფი იყო.

— გრაფი კი იყო, მეც ვიცი.

— ჰოდა ასეა, შვილო, შენ აკი სთქვი გრაფმა სხვა გვითხრაო. მე მეგონა, თქვენ ყველა გრაფები და კნიაზები მოსპეთ...

— არა, ბები, მე სეისმოგრაფზე ვლაპარაკობ...

— ჰო, მეც იმაზე, შვილო, მეც...

— სეისმოგრაფი იარაღია ბები.

— რა ეშმაკების იარაღია, კინაღამ დავიბენი... ცოტა წყენით წარმოსთქვა ბებია ჩემმა.

— ის იარაღია, ანუსი ქალო, რომელიც უჩვენებს მიწის ძვრა იყოვო.

ამას, ბებია გენაცვალოს, მეც კი გეტყოდი, ამისთვის გრაფებს რაღას აწუხებდით შვილო.

— ბებია ჩემო, აკი გითხარი რომ ის გრაფი არ არის და არც კნიაზი...

— კი, მივხვდი შვილო, მივხვდი... მე იმას ვამბობ, რომ ეს გრაფები და კნიაზები მოსპეთ და თქვენ სხვა გრაფები მოიგონეთ, ამას ყველაფერს ხედავს, შვილო, ღმერთი.

მე კვლავ შურმა წამიღო. კარგათ ვიცი რომ ბებია ჩემი უპარტიოა, არცერთ მოქმედ ჯგუფს ის არ ეკედლება. მაშ საიდან მოხდა რომ დღეს ეს გონიერი ადამიანი ასე პირწმინდათ იმეორებს ნაციონალ დემოკრატების დებულებებს? ნუ თუ ულალატა ოჯახს ბებია ჩემმა ანუსიმ?

— შვილო,—ჩურჩულით ჩამილაპარაკა ანუსიმ, — შენ ამდენს გეხვეწები და სიკეთეს არ შვები, სხვებს კი ხუთ-ხუთი ჯვარ დაუწერელი ცოლები ყავთ... შენ გგონია ამას არ ხედავს ღმერთი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუ ასეა, ბები, მაშინ სათათრეთი სულ უნდა ამოეგდო იმ დალოცვილს. იმათ ხუთ-ხუთი კი არა, ოც-ოცი ცოლები ყავთ და ყველა ჯვარ დაუწერლები არიან.

— არა, შვილო, ისინი თათრები არიან და ამას ღმერთი ხედავს. ღმერთი, შვილო, ყველა ამას ხედავს... ქვეყანა კარგა ხნით ადრე უნდა დაქცეულიყო...

კიდევ ერთი ზედმეტი არგუმენტი ბებია ჩემის განაციონალ დემოკრატებისა. როგორც ხედავთ, მას თათრები არ ემეტება გასანადგურებლათ, საქართველო-კი. ახირებული საქმეა.

ერთს კი მოგახსენებთ გულახდილათ. მე საზოგადოთ პარტიული განხვავება ისე არ მაბრმავებს, რომ მოწინააღმდეგის კარგი მხარე ვერ დავინახო. ბებია ჩემი ისეთის დაბეჯითებით ასაბუთებს თავის მოსაზრებებს, რომ მზათ ვარ აღვიარო მათი სრული ჭეშმარიტება. ამით რასაკვირველია არა მსურს ავდგე და პირდაპირ ნაციონალ-დემოკრატთა პარტიაში გადავხტე. მე ჩემთვის დავრჩები... მათთვის ბებია ჩემიც დიდი შემატება იქნება.

მორიელი.



„რომელმან დააფუძნა ქვეყანა სიმტკიცესა ზედა თვისა, არა შეიძრას იგი უკუნითი უკუნისამდე.“
(ფსალმ. დავითისი.)

ფოტოგრაფიული სურათები, რომელთაც ჩვენი ჟურნალის ამ ნომერში ვათავსებთ, გადაღებულია სააქციონერო საზოგადოების „ფილმის“ დირექტორის ვ. ტ ბარსკის მიერ. ის ამ მიზნით გაემგზავრა უბედურების ადგილას და გადაიღო სურათები სინემატოგრაფის ლენტებზე, რომელსაც უკვე 23 თებერვლიდან აჩვენებენ, აპოლოსა დი კინო-პალასში. ვისაც ამგვარი სურათების შეძენა სურს, უნდა მიმართოს „ფილმის“ კანტორას ბლეხანოვის პრ. № 138. სურათების ფასი გადაეცემა მიწის ძვრისგან დაზარალებულთა დამხმარე ფონდს.

„ეშმაკის მათრახის“ რედაქცია თავის მხრივ მადლობას უძღვნის ბ-ნ ბარსკის სურათების დათმობისათვის.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქველმოქმედება



ჩვენს მეუღლეებს, პელოს და მელოს, ვინ არ იცნობს? ისინი დამსახურებული საზოგადო მოღვაწენი არიან.

თებერვლის 19-საც, ჩვეულებისამებრ, ნაშუალამევის $2^1/_2$ საათზე დაბრუნდნენ ისინი ქართული [illegible]ან, დაისვენეს და ჩაის სუფრას მოუსხდნენ. ვნახოთ, უცებ სახლი შეინძრა, სამოვარმა ცეკვა [illegible] ელეის ლამპამ ქანაობა დაიწყო.—ვიღუპებით!—შეჰკივლეს პელომ და მელომ...



კივილმა გამოგვაღვიძა, წამოვიპერით ლოგინებიდან, გულის ფანცქალით შევიპვრიტეთ მეუღლეების ოთახში და თვალწინ გულშემზარავი სურათი გადაგვეშალა.

სასწაფოთ მოწვეულ ექიმების კონსილიუმმა სანუგეშო ვერაფერი გვითხრა. ჩვენს მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა; სულთმობრძავი პელო და მელო სარეცელზე გვესვენენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთებმა ჩვენს ჭირს ჭირი დაურთო; იქ ეწერა: „ქალაქი გორი და ახლო მახლო სოფლები მიწის ძვრისაგან განადგურებულია... საჭიროა დაუყონებლივი დახმარება“... ამის გაგონებაზე ბელო და მელო გიჟებივით წამოიჭრენ.. ფიცხლავ მოირთენ და გაჰქრენ.



კნეინა დარეჯანის ბინაზე ‚ფირცხლავ გაიმართა მანდილოსანთა კრება. გადაწყდა: „გაიმართოს გრანდიოზული საღამო მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ“.

ამოძრავდა დიდი და პატარა. ამუშავდენ მკერავები. ისედაც მოუცლელ ბელოსა და მელოსა დღეში სამჯერ უხდებოდათ მკერავთან შესვლა საღამოსთვის დაკვეთილ კაბების მოსარგებლათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანოვაგით დატვირთული მუშები სიმძიმის ქვეშ იზნიქებოდენ და ოფლის ღვრით მიაბიჯებდენ „სალამოს“ დარბაზისაკენ.

ჩვენს ოჯახში ამ დროს სრული წესრიგი და მშვიდობიანობა სუფევდა: ბავშვები წიგნს კითხულობდენ, ხოლო ძუძუ-მწოვარა აკვანში „ტაი-ტაის“ იძახოდა.



საღამომ ყოველსავე მოლოდინს გადააჭარბა: ზეიმმა დილის 7 საათამდე გასტანა; შეისვა დაახლოებით 200 ჩაფი ღვინო, შეიჭამა 70 ინდაური, 50 გოჭი, მრავალი ლოქო, ზურგიელი და ორაგული, 100 გირვანქა ხიზილალა და 200 თეთრი პური. ეს გარემოება ქალაქის ბაზარმა ფასების მატებით აღნიშნა მეორე დღესვე. დაიმტვრა 500 ღვინის ბოთლი, 2000 თეფში, ამდენივე ჭიქა, სამოცამდე ცხვირი და სხვა მრავალი ჭურჭლეულობა. პელო და მელო სახლში არ დაბრუნებულან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე დღეს სალამოს მომწყობ კომიტეტს ანგარიშები წარმოუდგინეს.
ამ დროს პელო და მელო სახლში იმყოფებოდნენ

სალამოს მომწყობ კომისიის კრებამ განიხილა ყველა ანგარიშები და აღმოაჩინა 13000 მანეთის ზარალი.

გადაწყდა: ვინაიდან ეს სალამო მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ იყო გამართული, დაევალოს მთავრობის მიერ დაარსებულს მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე საგანგებო კომიტეტს ზემო აღნიშნული ზარალის დაუყოვნებლივ ანაზღაურება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორს დაეხმარეთ!



მთავრობამ ბრძანა: „ეორის წილ აეგოს გორი კვლავაკო“.
ეჰა, ქართველო, ჭირშიგან ჭხამს გული გაიმამაცო!
მოიკელ ამა ჟამისად მოლხენაც, სმაცა, ჭამაცო,
გორს დაეხმარეთ ყველანი: შვილიც, დედაც და ძმაცო!